ქ.თბილისი
10/06/2024წ.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

შპს სელკომი (ს/კ 203838785) თანახმაა, რომ შპს სისტემ ნეტმა (ს/კ 205267423) ქ.თბილისში, ა.პოლიტკოვსკაიას #42-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: 01.14.05.003.001) მოახდინოს მზის ელექტროსადგურების მონტაჟი # AR11040528 განცხადების შესაბამისად.

შპს სელკომის

დირექტორი

ვახტანგი ამაშუკელი (პ/ნ 01012008906)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	**N240708763**
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	**10.06.2024 წ**
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**მერაბ ფარჯიკია**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**მობილური 599 19 64 09**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**11638985427024**

საქართველო

ორი ათას ოცდაოთხი წლის ათ ივნისს მე, ნოტარიუსს მერაბ ფარჯიკიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში. მომმართა ვახტანგი ამაშუკელმა, რომელმაც წარმოადგინა თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ვახტანგი ამაშუკელმა (დაბადებული: 15.04.1954წ. პირადი # 01012008906 რეგისტრირებული: ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი 7, ბინა 75) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განსუმარტე, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, ამის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა წინამდებარე დოკუმენტზე. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 6.00 (ექვსი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5.00 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 1.08 ლარი.

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18